ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5002613

ნომერი: AR1756538

თარიღი : 28.06.2020

გაცემის თარიღი : 29.06.2020

გაცნობის თარიღი : 29.06.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გურამ ტყეშელაშვილი პ/ნ 01018001173
- თბილისი ი.გოგებაშვილის ქ. N 9

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს ფორმა კოდი: 216312915

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR1756538 ელექტრონული განცხადებით დაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გაცნობებთ: საპროექტო მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ)-ში. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მიხედვით სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ) წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს (სახნავ-სათესი ან/და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისთვის განკუთვნილი მიწები). დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა მისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად დამხმარე შენობა- ნაგებობებისა კანონმდებლობის შესაბამისად და ასევე, საკულტო შენობა–ნაგებობების განთავსება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე. ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთი არ ემსახურება სასოფლო-სამეურნეო ზონისათვის დასაშვებ ფუნქცია-დანიშნულებას (სახნავ-სათესი ან/და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისთვის განკუთვნილი მიწა), სამსახური მოკლებულია შესაძლებობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.
ინფორმაციის სახით გაცნობებთ:
საპროექტო მიწისნაკვეთი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. „მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის2009 წლის 24 მარტის№57 დადგენილების მე-3 მუხლის 71-ე პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეების, ოჯახების (კომლების) კერძოსაკუთრებაში არსებულისასოფლო-სამეურნეოდანიშნულების მიწისნაკვეთი არისსაქართველოს მოქალაქეების, ოჯახების (კომლების) კერძოსაკუთრებაში გადაცემული ან მათმიერ შეძენილისასოფლო-სამეურნეოდანიშნულების მიწისნაკვეთი, რომელიცსაჯარო რეესტრშირეგისტრირებულია მათკერძო საკუთრებად, და რომელზეცდასაშვებია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების, სამეურნეო შენობა-ნაგებობებისა დაინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

გადახდილი თანხის დასაბრუნებლად საჭიროა სამსახურს მომართოთ ელექტრონული განაცხადით და საკითხი დააყენოთ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა > სერვისებზე/მოსაკრებლებზე გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.